



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №15/45

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (2 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, LENOVO H50-55-ს კომპლექტი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრისათვის“ თხოვნების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 12 აპრილის №1/1-850 ბრძანების საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი #9 15.06.2017წ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - 2 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, LENOVO H50-55-ს კომპლექტი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის“ დირექტორმა 2017 წლის 21 ივნისის #78 წერილით მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ზემოთხსენებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრისათვის“ გადაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 2 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, LENOVO H50-55-ს კომპლექტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრისათვის“ თხოვნების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვნების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის

მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 2 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, LENOVO H50-55-ს კომპლექტის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრისათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა.

### **აღნიშნულიდან გამომდინარე:**

#### **მუხლი 1.**

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - 2 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, LENOVO H50-55-ს კომპლექტი თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრს“ (ს/კ 415098316).

#### **მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

#### **მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია